02.05.2018

მ.ჯაში. ბატონო თავმჯდომარე, კოლეგებო, მოგესალმებით. სამწუხაროა, რომ ბატონი პრეზიდენტი აღარ ესწრება ჩვენს სხდომას, რადგან მინდოდა გამოხმაურება მის განცხადებასთან დაკავშირებით განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებზე. პრეზიდენტის გამოსვლაში გულწრფელად მინდა არაერთი მიმართულება აღვნიშნო, რომელსაც აბსოლუტურად ვიზიარებ და პოზიტიურად შემიძლია შევაფასო ის დინამიკა და პოზიციური ცვლილებები, რომელიც საერთაშორისო საგარეო კურსის თავისუფალი ვაჭრობის მიმართულებით მედია პლურალიზმის და ბიზნესის თავისუფლების მიმართებაში გააჟღერა დღეს ბატონმა გიორგიმ. ასევე ვეთანხმები, რომ ოკუპაცია ქვეყნის არის ერთ-ერთი ყველაზე ძალიან მნიშვნელოვანი და უმთავრესი გამოწვევა, რომლის გარშემოც ჩვენ გვჭირდება კონსოლიდირებული ძალისხმევა. თუმცა, სამწუხაროდ, ვერ დავეთანხმები მის მოსაზრებას, რომ განათლების სისტემაში მისი მინისტრობის პერიოდის შემდგომ არაფერი არ გაკეთებულა. და მე დღეს საზოგადოებას მინდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება გავუჟღერო და შევაჯამო, რადგან ვთვლი აღნიშნულ შეფასებას ნამდვილად უპასუხოდ ვერ დავტოვებდით. 2012 წლიდან 2016 წლამდე 626 მლნ ლარიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსება, სექტორალური დაფინანსება პრაქტიკულად გაორმაგდა და წელს 2018 წელს, ჩვენ 1 მლრდ 186 მლნ ლარის რესურსი დავამტკიცეთ სწორედ, ამ უმთავრესი პრიორიტეტული მიმართულების მხარდასაჭერად.1100-ზე მეტ სკოლაში 65 ათასზე მეტი მოსწავლე ყოველდღიურად სარგებლობს სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი ტრანსპორტის მომსახურებით. ინფრასტრუქტრული პროექტებით ისტორიული ნაბიჯები გადაიდგა. პირველად დამოუკიდებლობის ისტორიაში 20 ახალი სკოლის მშენებლობა დაიწყო სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში და ათასწლეულის გამოწვევის ფონდის შეერთებული შტატების მთავრობის მხარდაჭერით 94 სკოლის სრული რეაბილიტაცია-აღჭურვა მიმდინარეობს, რომელიც საერთო ჯამში 40 ათასამდე მოსწავლისთვის ფუნდამენტურად შეცვლის სასწავლო გარემოს. სრულად განახლდება სახელმძღვანელოები და პირველი განახლების ეტაპი სექტემბერში დაიწყება 1-ლი მე-6 კლასის მოსწავლეებისთვის ჩვენ საუბარი გვაქვს შინაარსობრივ განახლებაზე, რომელიც არის უაღრესად

მნიშვნელოვანი და პრაქტიკულად გარანტია ჩვენი მომავალი თაობის წარმატებისთვის. ინკლუზიურ განათლებაში 7 ათასამდე მოსწავლეა ჩართული. ჩვენ, პრაქტიკულად, ყოველდღიურ რეჟიმში გვაქვს შეზღუდული შესაძლებლობების და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეების მშობლებთან და პედაგოგებთან ურთიერთობა და უკვე რეალური ნაბიჯები იდგმება სპეც პედაგოგების პროფესიული განვითარების კუთხით. ეტაპობრივად იზრდება პედაგოგთა ანაზღაურებაც განსაკუთრებით მთის კანონის ფარგლებში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა. პედაგოგების უკეთესი დაფასება და არა დამსჯელობით სისტემაზე, არამედ პროფესიულ განვითარებაზე აქცენტი, მათ შორის უნიკალური სახელმწიფო და კერძო სექტორის ინიციატივა მასწავლებლის ეროვნული ჯილდო, რომელიც შარშან დაიწყო. პროფესიული განათლება რეალურად გახდა პრიორიტეტი, 23 სახელმწიფო კოლეჯი არის სრულად განახლებული, 11 ათასი სტუდენტი არის ჩართული პროფესიული განვითარების პროგრამებში და მათ შორის არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის არის მნიშვნელოვანი პროგრამები გათვალისწინებული. 1000-მდე მსჯავრდებული გადის პროფესიულ სწავლებას, რაც უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია. ... დეპარტამენტის ამოქმედება, უნივერსიტეტების ავტორიზაციის ევროპული მოდელის დანერგვა და ასევე თეატრალური თუ აკადემიის სახელოვნებო უნივერსიტეტების ინფრასტრუქტურის სრული რეაბილიტაცია, რომელიც ჩვენ რამდენიმე დღის წინ მოვინახულეთ კულტურისა და სპორტის მინისტრთან ერთად, ნამდვილად არის ის უპრეცედენტო შედეგები, რომელსაც ყოველდღიურ რეჟიმში ვაკვირდებით. მეცნიერების თვალსაზრისით, პლუსს პროგრამების გაფართოება არის შესაძლებლობა, რომელიც ათასობით სტუდენტს და ახალგაზრდა მეცნიერს აძლევს საშუალებას, რომ ევროპის წამყვან უნივერსიტეტთან თანამშრომლობით მოხდეს კვალიფიკაციის გაზრდა. მიუხედავად წარმატებებისა მთავარი კითხვა ისმის ბუნებრივია არის თუ არა საკმარისი ეს ძალისხმევა ეს არის არასრული ჩამონათვალი, მე მინდა საზოგადოებას ხაზგასმით, ვთქვათ, მოვახსენო, არასაკმარისია ნამდვილად, რადგან ჩვენ ყოველდღიურ რეჟიმში ამ შედეგების კიდევ უფრო გაძლიერებაზე ვმუშაობთ მინისტრთან, სამინისტროს მთელ გუნდთან, პედაგოგიურ კორპუსთან და ახალგაზრდებთან ერთად, თუმცა, არაფერს და არასაკმარისს შორის ძალიან დიდი განსხვავება...

საქართველოს პარლამენტის აპარატი
ასლის
დამოწმებისათვის

<u>თავმჯდომარე.</u> გააგრძელეთ დრო.

<u>მ.ჯაში</u>. იყო. ჩემი მთავარი მესიჯი დღევანდელ გამოსვლაში. აქვე ბატონმა რომან გოცირიძემ აღნიშნა, რომ ის ელოდებოდა კრიტიკას პრეზიდენტის მიმართ შეწყალებასთან დაკავშირებით. კრიტიკის ნაცვლად, პირიქით, მე სიამოვნებით ისევე, როგორც ბატონი კახა კახიშვილი მზად ვარ, რომ ჩვენი გამოცდილება ჯანდაცვისა და პენიტენციალური სისტემის ერთობლივი კომისიის, რომელსაც ვხელმძღვანელობდი ბატონ არჩილ თალაკვაძესთან ერთად გავუზიარო, რადგან ეს არის ძალიან კომპლექსური პროცესი და მზად ვართ აღნიშნული სისტემის დახვეწაში გვერდში დავუდგეთ პრეზიდენტის ადმინისტრაციას. დიდი მადლობა.

<u>თავმჯდომარე.</u> გმადლობთ. ბატონი არჩილ თალაკვაძე, 22 წუთი რეგლამენტი.

საქართველოს პარლამენტის
ასლის
დამოწმებისათვის